საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანის III მიკრორაიონში (საკ.კოდი 01.11.12.005.180) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ბლოკი **A** და **B**) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისში, გლდანის III მ/რ-ში (საკ.კოდი 01.11.12.005.180) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (A ბლოკი) შედგება ერთი ღია ავტოფარეხის სართულისა (ნაწილობრივ კომერციული ფართით) და ცამეტი საცხოვრებელი სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

- საანგარიშო სეისმურობა - 8 ბალი;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/მ^2;
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/მ^2.

შენობის კონსტრუქციის გაანგარიშება შესრულებულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2011“-ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

შენობისათვის საყრდენ ფუძედ გამოყენებულია ოლიგოცენ-ქვედამიოცენის ძირითადი ქანი – ფიქლებრივი თიხა, თიხოვანი ქვიშაქვების და ალევროლითის თხელი შუაშრეებით სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_0=1400 კპა (14 კგძ/სმ^2).

საძირკვლის ტიპად მიღებულია დასაყრდნობი ბურღვით-ნატენი ხიმინჯები, დიამეტრით 800 მმ (მიმდებარე ციცაბო ფერდის გათვალისწინებით), რაც წარმოადგენს ოპტიმალურ ვარიანტს.

ხიმინჯის მზიდუნარიანობის საჭირო სიდიდე მიიღწევა ფუძე-გრუნტში ღრმად შესვლით (6 მ).

შენობის კარკასის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის სვეტები, ზომებით (70X50; 60X50; 50X50; 40X40) სმ; რიგელები (40X50 სმ) და მონოლითური ფილა (h=16 სმ).

კიბეები – რკინაბეტონის მონოლითური.

სახურავი – ბრტყელი.

ქ. თბილისში, გლდანის III მ/რ-ში (საკ.კოდი 01.11.12.005.180) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (B ბლოკი) შედგება ერთი ღია ავტოფარეხის სართულისა (ნაწილობრივ კომერციული ფართით), რვა სრული საცხოვრებელი და ერთი არასრული საცხოვრებელი სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

- საანგარიშო სეისმურობა - 8 ბალი;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/მ^2;
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/მ^2.

შენობის კონსტრუქციის გაანგარიშება შესრულებულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2011“-ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

შენობისათვის საყრდენ ფუძედ გამოყენებულია ოლიგოცენ-ქვედამიოცენის ძირითადი ქანი – ფიქლებრივი თიხა, თიხოვანი ქვიშაქვების და ალევროლითის თხელი შუაშრეებით სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_0=1400 კპა (14 კგძ/სმ^2).

საძირკვლის ტიპად მიღებულია დასაყრდნობი ბურღვით-ნატენი ხიმინჯები, დიამეტრით 800 მმ (მიმდებარე ციცაბო ფერდის გათვალისწინებით), რაც წარმოადგენს ოპტიმალურ ვარიანტს.

ხიმინჯის მზიდუნარიანობის საჭირო სიდიდე მიიღწევა ფუძე-გრუნტში ღრმად შესვლით (7 მ).

შენობის კარკასის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის სვეტები, ზომებით (70X50; 60X50; 50X50; 40X40) სმ; რიგელები (40X50 სმ) და მონოლითური ფილა (h=16 სმ).

კიბეები – რკინაბეტონის მონოლითური.

სახურავი – ბრტყელი.

დასკვნა

პროექტის განხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით. აქედან გამომდინარე, შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია.

ექსპერტი,

მთავარი სპეციალისტი–კონსტრუქტორი ზ. შენგელია

27.09.2016წ.

''ახალი საქქალაქმშენპროექტი''
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი

№ ად-83

27 სექტემბერი, 2016 წ.

შპს „R&L ჯგუფი“-ს დირექტორს

ბატონ ახაფ რაზის

ჩვენს შორის 2016 წ. 26 სექტემბერს გაფორმებული №242 ხელშეკრულების თანახმად, გაბარებთ საექსპერტო დასკვნას „ქ. თბილისში, გლდანის III მ/რ-ში (საკ.კოდი 01.11.12.005.180) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების (ბლოკი A და B) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე“.

პატივისცემით,

დირექტორი ზ. მირიანაშვილი

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"
საქართველო, თბილისი, 0160,
ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

"AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI" LTD.
(The Georgian Institute for Regional & Urban Planning)
2 A.Kazbegi Ave / 34 Pekin Str. 0160,
Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 37 52 26; E-mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge



01026014507

N° ა 1246482

02.01.1964



13.02.2009

13.02.2019

29.12.1988

დიპლომი

KB № 155104

ეს დიპლომი მიეცა ზაზა ვახტანგის ძე შენგელიას

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1985 წელს დაამთავრა ამავე ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. „29" ივნისის დადგენილებით ზ. ვ. შენგელიას მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1992 წ. „2" VII

სარეგისტრაციო № 1057

Грузинский

ДИПЛОМ

KB № 155104

Настоящий диплом выдан Шенгелия Зазе Вахтанговичу

в том, что он в 1980 году поступил в Грузинский политехнический институт им. В. И. Ленина

и в 1985 году окончил полный курс названного института

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „29" июня 1985 г.

Шенгелия З. В.

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „2" VII 1992 г.

Регистрационный № 1057

Московская типография Гознака. 1982.

საკვალიფიკაციო მონაცემი

სახელი, გვარი: **ზაზა შენგელია**
დაბადების თარიღი: 1964 წ. 2 იანვარი
დაბადების ადგილი: ფოთი
მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა: დაუქორწინებელი
შვილები: არა
სახლის მისამართი: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. 26 კორპ. ბ. 119
ტელეფონი: (995 32) 33 19 02
სამსახურის მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №2; ტელეფონი: (995 32) 237 52 28

განათლება:

1980-85 წ.წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი,
სპეციალობა - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

პროფესიული გამოცდილება:

1985 - 1992 წ.წ. სს „საქქალაქმშენპროექტი“ - ინჟინერ-კონსტრუქტორი; I კატეგ. ინჟინერ-კონსტრუქტორი; .

2003 წლიდან 2010 წლამდე - სს „საქქალაქმშენპროექტი“ - წამყვანი ინჟინერ-კონსტრუქტორი, მთავარი სპეციალისტი-კონსტრუქტორი.

2010 წლის იანვრიდან დღემდე – შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“ - მთავარი სპეციალისტი-კონსტრუქტორი.

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- დას. საქართველოში მიწისძვრით დაზიანებული რაიონების აღდგენა;
- ქ. სლავუტიჩის აღდგენა-რეკონსტრუქცია, ჩერნობილი;
- 19 ადმინისტრაციული, საკულტო, გასართობი და კვების ობიექტი;
- მრავალი საცხ. სახლი, კოტეჯი, ბენზოგასამართი სადგური, ოფისი, საცხ. სახლების დაშენების პროექტები;

ერთობლივი პროექტები:

- საბაჟო სადგურები „წითელი ხიდი“ და „ყაზბეგი“ (ინგლისურ-ქართულ ენოვანი პროექტირება კონსტრუქციული ნაწილის. ექსპერტიზა გაიარა ვისბადენისა და ვაშინგტონის ოფისებში);
- საბაჟო „ყაზბეგის“ გაბიონების საყრდენი კედლები მდ. თერგზე;
- ყაზარმები და სამეთაურო პუნქტები საქ. სხვადასხვა რეგიონში.
- აჭარისა და იმერეთის რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები
- ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრება;
- ქ. ბორჯომში მდ. ბორჯომულას დამ დ. მტკვრის საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრება;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ვალე“;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი“;
- 10-14 სართულიანი საცხოვრებელი სახლი თამარაშვილის ქუჩაზე (უცხო ენების ინსტიტუტის უკან);
- 16 სართულიანი ვარსკვლავების სახლი ყიფშიძის ქუჩაზე;
- 15-16 სართულიანი მრავალფუნქციური ცენტრი ავლაბარში, ქეთევან წამებულის გამზირისა და შავი ზღვის ქუჩის გადაკვეთაზე;
- 6 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ტაბიძის და ბარნოვის ქუჩებზე და „მზიურის“ ტერიტორიაზე;

- „არსის“ 22 სართულიანი სავაჭრო ცენტრი (სიმაღლით 82 მ) ქ. ბათუმში;
- 410-ბინიანი 18 სართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე;
- საცხოვრებელი სახლები ქავთარაძის ქუჩაზე;
- „არსის“ სავაჭრო ცენტრი – ქარვასლა ქ. თბილისში;
- „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მრავალფუნქციური ობიექტი საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე (32-სართულიანი საოფისე ნაწილით);
- „მუხიანის ვარსკვლავის“ სავაჭრო ცენტრი მუხიანში;
- 25-სართულიანი საცხოვრებელი სახლი მიშველაძის ქუჩაზე, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- „დრიმ თაუნი“ ქავთარაძის ბაზრის ტერიტორიაზე, 22-25 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები;
- თბილისში 12 ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა გამაგრების პროექტის ექსპერტიზა;
- ონის რაიონში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენა-გამაგრების პროექტები;
- 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების ტიპიური და მიბმის პროექტები;
- ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, 10 საყრდენი კედლის აღდგენა-მოწყობა;
- საავადმყოფოების მშენებლობის ზედამხედველობა;
- დაბა სტეფანწმინდაში სასტუმრო „ყაზბეგი“-ს რეკონსტრუქცია.

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად), გერმანული (სუსტად)

კომპიუტერის ცოდნა: AutoCAD, Visio, Exsel, Word

დირექტორი  ბ. მირიანაშვილი